ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 680

29 დეკემბერი
"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2023 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2023 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასაყვანად, დაწესდეს წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით: ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 72 600 (სამოცდათორმეტიათას ექვსასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 6050 (ექვსიათას ორმოცდაათი) ლარი). იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი დამატებით განისაზღვროს 1573 (ათასხუთას სამოცდაცამეტი) ლარით, ხოლო ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი - შესაბამისი პროპორციით.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, ფრაქციის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, დარჩენილი თანხა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგ თვეებში.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2022 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №83 განკარგულება.

4. განკარგულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან.

5. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე